ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი საჯარო ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის აპრილის 16.

№ 9
განყოფილება პირველი

ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 88. პორტლანდის ცემენტის საბითუმო საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ.
„ 89. სტრაქტორო გარნიტურის საგასაცემო ფასების შესახებ.
„ 90. საფეიქრო ნაკეთობის კერძო მოვაჭრეთა მოვალეობის შესახებ იქონიონ ანგარიშები მათ მაღაზიებში და საწყობებში ქონებული მანუფაქტურისა.
„ 91. ინსტრუქცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგისტრაციის წესის შესახებ.
„ 92. შრომის კანონთა კოდექსის 176, 179, 181, 183, 184, 185 და 186 მუხლების შეცვლისა და დამატებისა, შრომის კანონთა კოდექსისათვის 184[1] მუხ. დამატებისა და იმავე კოდექსის 182 მუხლის გაუქმების შესახებ.
„ 93. ეტიკეტების შესახებ.
„ 94. შუშა-ფაიფურის ნაკეთობის ფასების უკიდურესი საბითუმო წანამატების შესახებ.
„ 95. ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკში სოფლის მოსახლეობის ულარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესების შესახებ.
„ 96. სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების გამოყენების წესისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მომუშავეთათვის პერსონალური ჯამაგირის დანიშვნისა და სპეციალური საქმის შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემის წესის შესახებ.
„ 97. აგურის წარმოების მეტრიზაციის შესახებ.
„ 98. ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების საქმეზე მომუშავეების სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.
„ 99. გლეხების მიერ წარმოებულ მათი მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობაში მეტრულ საზომ-საწონთა შემოღების უკიდურესი ვადის შესახებ
„ 100. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის გამოყენების პირობების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსაგან 1925 წლის ივლისის 30-ს თარიღით გამოცემული ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 101. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ ისეთი საგლეხო მეურნეობების ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რომლებზედაც არ გავრცელდება „დროებითი წესები საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის პირობების შეფარდების შესახებ".

„ 102. სადღესასწაულო დღეებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ და 1927 წ. დეკემბრის 5-ის თარიღის დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ 103. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამშენებლო სამუშაოთა პროექტების სათანადო ჩამოყალიბებამდე სამშენებლო მუშაობის დაწყების აკრძალვის თაობაზე" 1928 წ. მარტის 1-ლის თარიღითა და მე-16 №-რით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

---

# დადგენილება № 4 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწვ. და სასურს. საქონლის სამმართველო)

1928 წ. მარტის 31.

**[illegible]. პორტლანდის ცემენტის საბითუმო საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ.**

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1927 წ. ივნისის 13 თარიღისა და მე-5 №-ის, დადგენილების მე-2 მუხლის შესაცვლელად და 1927 წ. დეკემბრის 28 №-ის დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასი ნოვოროსიისკის ქარხნების პორტლანდის ცემენტზე:

**ფრანკო-ვაგონი ბათუმში:**

| | |
|---|---|
| ჩრდილო-კავკასიის ვაჭრობისათვის . . . . . . . . . | 6 მან. 99 კაპ. |
| სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის . | 7 მან. 15 კაპ. |

**ფრანკო-ვაგონი ფოთში:**

| | |
|---|---|
| ჩრდილო-კავკასიის ვაჭრობისათვის . . . . . . . . . . | 6 მან. 84 კაპ. |
| სხვა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის . | 7 მან. — კაპ. |

§ 2. წინადადება მიეცეს ჩრდილო-კავკასიის ვაჭრობას ხელახლა გაუსწოროს სათანადო ანგარიში ორგანიზაციებს 1927 წ. ნოემბრის 15-ს შემდეგ დადებული ყველა ხელშეკრულობის მიხედვით.

§ 3. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამ დადგენილების სისწორით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

§ 5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრეწ. და სასურ. საქონლის სამმართველოს უფროსი **მერკუროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 76 №-ში 1928 წ. აპრილის 1-ღს.

---

## დადგენილება № 5 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწვ. და სასურსათო საქონ. სამმართველო)

1928 წ. მარტის 31.

## 89. სატრაქტორო გარნიტურის საგასაცემო ფასების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/სფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. იანვრის 16-ს თარიღისა და მე-14 №-ისა და 1928 წ. თებერვლის 30-ს თარიღისა და 52 №-ის დადგენილების თანახმად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1 დაწესებულ იქნეს 1927-1928 წლისათვის სატრაქტორო გარნიტურზე შემდეგი საგასაცემო ფასები, როდესაც ეს გარნიტური საგლეხო კოლექტიურ მეურნეობებსა და გატრესტებულ საბჭოთა მეურნეობებს მიეყიდებათ ფრანკო-ვაგონი ბათუმ-პორტში—საიმპორტო ტრაქტორებისათვის და ფრანკო-ვაგონი ქარხანაში—საკავშირო წარმოების ტრაქტორებისათვის:

1. „ფორდზონ"

ბორბლითა, ფრთებითა, რეგულიატორითა, ორკორპუსიანი გუთნითა და ტრაქტორისა და გუთნის სამარაგო ნაწილების კომპლექტით . . . . . . . . . . . . 1.770 მან.

2. „Ф. П."

ბორბლითა, ფრთებითა რეგულიატორითა, ორკორპუსიანი გუთნითა და ტრაქტორისა და გუთნის სამარაგო ნაწილების კომპლექტით . . . . . . . . . . . . 1.770 მან.

3. „ინტერნაციონალი"

ბორბლითა, ფრთებითა, ოთხკორპუსიანი გუთნითა და ტრაქტორისა და გუთნის სამარაგო ნაწილების კომპლექტით . . . . . . . . . . . . . . . . . 3.510 მან.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

„15/30"
4. „ინტერნაციონალი"
10/20

ბორბლითა, ფრთებითა, სამკორპუსიანი გუთნითა და ტრაქტორისა და გუთნის სამარაგო ნაწილების კომპლექტით . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 2.500 მან.

§ 2. აღნიშნული ფასები მიიღება საიმპორტო ტრაქტორებისა და გუთნებისათვის ფრანკო-ვაგონი ნოვოროსიისკისა, ოდესსა, ბათუმისა ან ლენინგრადის პორტებში, ხოლო შინა-წარმოების „ფ. პ." ტრაქტორებისა და გუთნებისათვის—ფრანკო-ქარხანა.

§ 3. აღნიშნულ ფასებს სავაჭრო ორგანიზაციები დაუმატებენ პორტიდან დანიშნულების ადგილამდე მიზიდვის ფაქტიურ ღირებულებას—საიმპორტო ტრაქტორებისა და სატრაქტორო გუთნებისათვის, ხოლო ვაგონში დატვირთვისა და ქარხნიდან დანიშნულების ადგილამდე მიზიდვის ღირებულებას—შინა-წარმოების ტრაქტორებისა და სატრაქტორო გუთნებისათვის.

§ 4. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბექზადინი.**

სამრეწ. და სას. საქონლის სამმართ. უფროსი **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ."-ს 76 №-ში 1928 წ. აპრილის 1-ს.

---

## დადგენილება № 6 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწ. და სასურს. საქონლის სამმართველო)

1928 წ. მარტის 31.

**90. საფეიქრო ნაკეთობის კერძო მოვაჭრეთა მოვალეობის შესახებ იქონიონ ანგარიშები მათ მაღაზიებში და საწყობებში ქონებული მანუფაქტურისა.**

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი ა/წ. თებერვლის 7-ს თარიღისა და 1-ლი №-ის დადგენილების დასამატებლად, ადგენს:

1. დაევალოს ყველა იმ კერძო მოვაჭრეს, რომელიც-კი ა/კსფსრ ტერიტორიაზე მანუფაქტურის ვაჭრობას ეწევა:

ა) იქონიოს ანგარიშები მთლად იმ მანუფაქტურისა, რაც მის მაღაზიასა ან საწყობშია; თანაც ზედმიწევნით აღნიშნოს საქონლის მიღების წყარო;

ბ) აღნიშნოს საფეიქრო ნაკეთობის ყველა ნაჭერზე შესაფერი საგასაცემო ფასი, სათანადო იარლიყის გამოკიდვით.

2. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბექზადიანი.**

სამრეწვ. და სასურ. საქონლის სამმართვ. უფროსი **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 77 №-ში 1928 წ. აპრილის 3-ს.

---

# ინსტრუქცია

## 91. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

### I. ზოგადი დებულება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობას (მეღვინეობისა, მერძეობისა, მეხილეობისა, მეთესლეობისა, მემანქანეობისა, სამელიორაციო და სხვ.) შეუძლიან დაიწყოს თავისი მოქმედება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მის წესდებას რეგისტრაცია გაუკეთდება ამა ინსტრუქციით განსაზღვრული წესისამებრ.

### 2. რეგისტრაციის ორგანოები.

1. ყოველ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციას (მეღვინეობისა, მერძეობისა, მეხილე-მებოსტნეობისა, მემანქანეობისა, სამელიორაციო, კოლექტიური მეურნეობა, კომუნა და სხვ.), რომელიც-კი აერთიანებს მოსახლეობას მაზრის არა უდიდეს ტერიტორიაზე, რეგისტრაციას გაუკეთებს სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაცია ა/კსფსრ ისეთ ავტონომიურ ოლქში (სამხრეთ-ოსეთში, მთის ყარაბაღში), რომელსაც არა აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაზრო დანაწილება, თავის წესდებას რეგისტრაციას გაუკეთებს აღნიშნული ავტონომიური ოლქის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

3. ის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაცია, რომლის მოქმედების მასშტაბიც ერთი რომელიმე მაზრის ფარგალს სცილდება, თავის წესდებას რეგისტრაციას გაუკეთებს იმ მაზრის სამიწათმოქმედო განყოფილებაში, სადაც იმყოფება ამ კოოპერატიული ორგანიზაციის გამგეობა.

4. ის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაცია, რომლის მოქმედების მასშტაბიც ერთი რომელიმე რესპუბლიკის ფარგალს სცილდება, თავის წესდებას რეგისტრაციას გაუკეთებს იმ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, სადაც იმყოფება ამ კოოპერატიული ორგანიზაციის გამგეობა.

5. მე-4 მუხლის მიხედვით წესდების რეგისტრაციას რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოახდენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დასკვნას მისცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან მოსაწყობი წესდების მრეგისტრავი კომისია. კომისიის შედგენილობაში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, მონაწილეობას მიიღებენ სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის წარმომადგენლნი.

**შენიშვნა.** ამა თუ იმ დასაარსებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციის წესდების რეგისტრაციის საკითხის გამო დასკვნის მისაცემად სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილებასთან მოეწყობა კომისია მე-5 მუხ. აღნიშნულ ადგილობრივ ორგანოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით (საკრედიტო ამხანაგობისა და სას.-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის წარმომადგენელთა შედგენილობით და სამიწათმოქმედო განყოფილების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით), მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ არის სას.-სამ. კოოპერაციის სამაზრო წარმომადგენელი.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების მრეგისტრავი კომისია მოიწვევა საჭიროებისადა მიხედვით. უწყება სხდომის დღის შესახებ დაეგზავნება იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთა წარმომადგენელნიც შედიან კომისიაში, არა უგვიანეს 5 დღისა სხდომამდე. უწყებაში აღნიშნულ უნდა იქნეს სხდომის დრო და ადგილი და აგრეთვე იმ კოოპერატიული ორგანიზაციების ნუსხა, რომელთა რეგისტრაციის საკითხიც განხილულ უნდა იქნეს კომისიის უწყებულ სხდომაზე.

კომისიაში შემავალ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებს უფლება აქვთ წინასწარ, კომისიის სხდომამდე, გაეცნონ კომისიის საქმეებში ქონებულ მასალას სხდომის უწყებაში შეტანილი სას.-სამ. კოოპერატიულ ამხანაგობათა რეგისტრაციის შესახებ.

7. მრეგისტრავი კომისიის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო კომისიის ყველა წევრი.

კომისიის სხდომის ჟურნალს შეადგენს და მთლად საქმისწარმოებას გაუძღვება მრეგისტრავი ორგანოს აპარატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციების წესდების რეგისტრაციის წესი.

8. განცხადება სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ ხელმოწერილ უნდა იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი დამფუძნებელის მიერ; ამასთანავე, მათი ხელმონაწერი განცხადებაზე დამოწმებულ უნდა იქნეს განსაზღვრული წესისამებრ. დამფუძნებელთა ხელმონაწერი წესდებაზე დამოწმებულ არ უნდა იქნეს.

სარეგისტრაციო განცხადებაში მასზე ხელის მომწერი დამფუძნებლები იძლევიან ხელწერილს, რომ განცხადებასთან დართულია უწყებული ამხანაგობის ყველა დამფუძნებელთა სია და ამ სიაში კანონით განსაზღვრული მინიმუმი არ შეიცავს ისეთ პირთ, რომელნიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ ქორწინებით ან ახლო ნათესაობით.

განცხადებაში დასახელებული უნდა იყოს ის პირი, რომელიც რწმუნებამოსილია მიიღოს ქაღალდები რეგისტრაციის შესახებ, და აგრეთვე ნაჩვენები უნდა იყოს მისი ადრესი. ამის გარდა, განცხადებაში შეიძლება აღნიშნული იყოს ის პირი, რომელიც დამფუძნებლების მიერ რწმუნებამოსილია აწარმოოს საქმე რეგისტრაციის შესახებ.

9. სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ შეტანილ განცხადებას უნდა დაერთოს: 1) ოთხი (უკეთუ რეგისტრაციას აწარმოებს სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება) და სამი (უკეთუ რეგისტრაციას აწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი) სრულიად თანაბარი ცალი უწყებული ორგანიზაციის წესდებისა, რომლებიც ხელმოწერილ უნდა იყოს არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი დამფუძნებლის მიერ; 2) კოოპერატიული ორგანიზაციის დანარჩენი დამფუძნებლების სია, მათ მიერ ხელმოწერილი და 3) სათემო (საუბნო, სადაირო) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამოწმებული ცნობა, რომ დამფუძნებლებს აქვთ საბჭოთა არჩევის უფლება.

10. სარეგისტრაციოდ წარდგენილ სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს: 1) ორგანიზაციის სახელწოდება; 2) ის რაიონი, რომელსაც მომსახურეობა უნდა გაუწიოს ორგანიზაციამ, და გამგეობის სამყოფელი ადგილი; 3) ორგანიზაციის მიზანი; 4) წევრთა შესვლისა, გამოსვლისა და გამორიცხვის წესი და წევრთა პასუხისმგებლობის ოდენობა ორგანიზაციის ვალდებულებათათვის; 5) კაპიტალების შექმნის პირობები და წესი; 6) პაისა და შესასვლელი გადასახადის რაოდენობა და სხვა სავალდებულო გადასახადთა უკიდურესი რაოდენობა; 7) ამხანაგობის ოპერაციების წრე; 8) ანგარიშების შედგენისა, რევიზიისა და დამტკიცების ვადა და წესი; 9) მოგებისა და ზარალის განაწილების წესი; 10) საერთო კრებებისა ან რწმუნებულთა კრებების მოწვევის წესი და ვადა, მათი მუშაობის და ოქმების შედგენის წესი; 11) გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და საბჭოს უფლებამოსილობის ფარგალი, თვითეული აღნიშნული ორგანოს წევრთა რიცხვი, მათი არჩევის წესი და მათივე უფლებამოსილობის ვადა; 12) წესდების შეცვლის წესი; 13) ორგანიზაციის მოსპობის პირობები და წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. სარეგისტრაციო განცხადებასთან დართული სია დამფუძნებლებისა ხელმოწერილ უნდა იქნეს მათ მიერ. სიაში ზედმიწევნით და გარკვევით ნაჩვენები უნდა იყოს დამფუძნებლის გვარი, სახელი და მამის სახელი, მისი საცხოვრებელი ადგილი და რა საქმეს მისდევს იგი.

12. სარეგისტრაციო განცხადების შეტანის დროს ამ განცხადებას გადახედავს მრეგისტრავი ორგანო (სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი) და შეამოწმებს განცხადების დანართებს.

უკეთუ ასეთი გადახედვის დროს არ აღმოჩნდება არავითარი ფორმალური ნაკლი (ხოლო უკეთუ ასეთი ნაკლი აღმოჩნდება, მე-14 მუხ. თანახმად, განცხადებას მსვლელობა არ მიეცემა), განცხადებაზე აღინიშნება ის დრო, როდესაც იგი მრეგისტრავმა ორგანომ მიიღო და დამფუძნებლებს ან მათ მიერ რწმუნებამოსილ პირს მიეცემა ხელწერილი წესდების მიღების დროის შესახებ.

**შენიშვნა.** მრეგისტრავი ორგანოს მიერ განცხადებისა და წესდების მიღების დრო შეიძლება მრეგისტრავმა ორგანომ აღნიშნოს წესდების იმ ცალზე, რასაც დამფუძნებლები წარადგენენ სპეციალურად საამისოდ, იმ სავალდებულო ცალების დამატებად, რაც სარეგისტრაციო განცხადებას დაერთვის.

13. დამფუძნებლების მიერ ფოსტით გაგზავნილი სარეგისტრაციო განცხადებისა და მისი დანართების მიღების დღედ ითვლება განცხადებისა და მისი დანართების ფაქტიურად მიღების დღე.

14. განცხადებას რეგისტრაციის შესახებ მსვლელობა არ მიეცემა: 1) უკეთუ განცხადებას თან არა აქვს სათანადო შემთხვევაში მე-9 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანართი; 2) უკეთუ სარეგისტრაციო განცხადებას ან სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებას ხელს აწერს ხუთზე ნაკლები დამფუძნებელი; 3) უკეთუ დამფუძნებელთა ხელმონაწერი განცხადებაზე დამოწმებული არ არის სათანადო წესით; 4/ უკეთუ წესდების წარდგენილი ცალები თანაბარი არ არის; 5) უკეთუ წესდება გარკვევით არ არის დაწერილი; 6) უკეთუ განცხადებაში აღნიშნული არ არის არც ერთი დამფუძნებლის საცხოვრებელი ადგილი.

ასეთ შემთხვევაში მე-16 მუხლით გათვალისწინებული ერთი თვის ვადა გაგრძელდება მთელი იმ ხნით, რის განმავლობაშიაც დამფუძნებელნი არ აცილებენ საქმეს ყველა იმ ნაკლულოვანებას, რომლის მიზეზითაც სარეგისტრაციო განცხადებას მრეგისტრავმა ორგანომ მსვლელობა არ მისცა.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ხუთ დღეზე არა უგვიანეს მრეგისტრავი ორგანოს მიერ განცხადების მიღების დღიდან, დამფუძნებელთ გამოეცხადებათ მიზეზი მათი სარეგისტრაციო განცხადების (სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაციის რეგისტრ. შესახებ) უძრავად დატოვებისა; ამასთანავე, იმ პირს, რომელმაც განცხადება პირადად შეიტანა მრეგისტრავ ორგანოში, ეს უშუალოდ გამოეცხადება, ხოლო სხვაგან მყოფ პირს შეტყობინება დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზანება.

**შენიშვნა.** უკეთუ სარეგისტრაციო განცხადებაში დამფუძნებელთა საცხოვრებელი ადგილი ნაჩვენები არ არის, ცნობა შეტანილი განცხადების უძრავად დატოვების შესახებ მრეგისტრავი ორგანოს სადგომში გამოიკიდება.

15. სარეგისტრაციოდ წარდგენილ სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებას მრეგისტრავი ორგანო განიხილავს იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება წესდების ნორმები მომქმედ კანონებს.

16. ერთ თვეზე არა უგვიანეს სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ განცხადების მიღების დღიდან (მუხ. 12) მრეგისტრავი ორგანო, უკეთუ დასაარსებელი სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის წესდება და დამფუძნებელთა შედგენილობა მომქმედ კანონებს არ ეწინააღმდეგება, მოახდენს ამ ორგანიზაციის რეგისტრაციას; წინააღმდეგ შემთხვევაში—უარს ეტყვის რეგისტრაციაზე.

17. უკეთუ რეგისტრაცია უნდა მოხდეს წესდების მრეგისტრავი კომისიის დასკვნის შემდეგ, მრეგისტრავი ორგანო მიღებულ სარეგისტრაციო განცხადებასა და სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაცის წესდებას შეიტანს, არა უგვიანეს შვიდი დღისა მიღების დღიდან, მასთან არსებულ კომისიაში განსახილველად.

თანახმად კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილებისა—უწყებული ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ—მრეგისტრავი ორგანო მოახდენს ამ ორგანიზაციის რეგისტრაციას ან უარს ეტყვის რეგისტრაციაზე.

18. წესდებაში შეტანილი ყველა შესწორება სიტყვა-სიტყვით აღნიშნულ უნდა იქნეს წესდების ბოლოს, დამფუძნებლების ხელმოწერის წინ, ხოლო, უკეთუ შესწორებანი შეტანილია დამფუძნებლების მიერ ხელმოწერის შემდეგ, შესწორების აღნიშვნა დამოწმებულ უნდა იქნეს დამფუძნებლების ხელმოწერით ან მათ მიერ რწმუნებამოსილი პირის ხელმოწერით—მისი უფლებამოსილობის ფარგლებში.

19. მრეგისტრავი ორგანოს დადგენილებაში—რეგისტრაციაზე უარისთქმის შესახებ—ზედმიწევნით უნდა იყოს აღნიშნული კანონის ის მუხლები, რომლებსაც წარდგენილი წესდება ან დამფუძნებელთა შედგენილობა არ შეესაბამება, და განმარტებულ უნდა იქნეს, სახელდობრ რაში გამოიხატება ეს შეუსაბამობა. ასლი დადგენილებისა—სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარისთქმის შესახებ—უნდა გადაეცეს სარეგისტრაციო განცხადებაში აღნიშნულ პირს, რომელსაც ჩამოერთმევა ხელწერილი ასლის მიღების დღის აღნიშვნით, ან იგი გაეგზავნება მას საფოსტო დაზღვეული წერილის სახით.

20. იმ სასოფ.-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომლის გამოც ერთი თვის ვადის განმავლობაში, დღიდან სარეგისტრაციო განცხადების მიღებისა, არ იქნა გამოტანილი დადგენილება რეგისტრაციაზე უარისთქმის შესახებ, სათანადო ორგანომ რეგისტრაცია აუცილებლად უნდა გაუკეთოს.

**შენიშვნა.** აღნიშნულ ერთი თვის ვადაში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიაც, მე-14 მუხ. აღნიშნული მიზეზის გამო, სარეგისტრაციო განცხადებას მსვლელობა არ ეძლევა.

21. უკეთუ სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაცია მოხდა, მრეგისტრავი ორგანო დაუბრუნებს დამფუძნებელთა განცხადებაში აღნიშნულ პირს წარდგენილი წესდების ერთ-ერთ ცალს წარწერით გაკეთებული რეგისტრაციის შესახებ, სათანადო ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით. წარწერაში აღნიშნული უნდა იყოს რეგისტრაციის დღე და ის რიგობრივი ნომერი, რომლი-

თაც ამხანაგობა რეესტრში შეტანილი (მუხ. 33). წესდების მეორე ცალი—მრეგისტრავი ორგანოს საქმეებში დარჩება; მესამე ცალი, უკეთუ რეგისტრაციას სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება აკეთებს, გაეგზავნება რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ხოლო უკეთუ რეგისტრაციას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოახდენს—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს. მეოთხე ცალს სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება გაუგზავნის უწყებული რესპუბლიკის სას.-სამ. კოოპერაციის კავშირს.

22. სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის წესდების ყოველგვარ ცვლილებასა და დამატებას რეგისტრაცია გაუკეთდება იმავე წესით, როგორც თვით წესდებას. განცხადებას უწყებული ორგანიზაციის წესდების ცვლილებისა და დამატების რეგისტრაციის შესახებ, რომელსაც ხელს მოაწერს ორგანიზაციის გამგეობა, დაერთვის: 1) განზრახულ ცვლილებათა ტექსტი, რასაც პარალელურად უნდა მისდევდეს უწყებული ორგანიზაციის წესდების სათანადო მუხლების წინანდელი რედაქცია,—ოთხ ან, მე-9 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამ ცალად, ან და უწყებული ორგანიზაციის მიერ ახლად მიღებული წესდების ოთხი (სამი) ცალი; 2) უწყებული ორგანიზაციის წესდების დამატებათა ტექსტი ოთხ ცალად; 3) ასლი უწყებული ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების ოქმისა წესდების ცვლილებისა თუ დამატების მიღების შესახებ.

ყველა დანართს ხელს მოაწერს უწყებული ორგანიზაციის გამგეობა.

მრეგისტრავი ორგანო, დარწმუნდება-რა, რომ ცვლილება თუ დამატება მომქმედ კანონებს არ ეწინააღმდეგება, შეიტანს ამ ცვლილებას თუ დამატებას სათანადო რეესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში—უარს ეტყვის ცვლილების რეგისტრაციაზე და მისცემს სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის გამგეობას ასლს თავისი დადგენილებისას რეგისტრაციაზე უარისთქმის შესახებ, მე-19 მუხ. აღნიშნული წესისამებრ.

## 4. კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარისთქმის გასაჩივრების წესი.

23. მრეგისტრავი ორგანოს დადგენილებაზე წესდების რეგისტრაციაზე ან წესდების ცვლილებისა თუ დამატების აღნიშვნაზე უარისთქმის შესახებ დამფუძნებლებს ან დაინტერესებულ კოოპერატიულ ორგანიზაციას შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი ერთი თვის ვადაზე დამფუძნებლებისა თუ გამგეობის მიერ საუარო დადგენილების ასლის მიღების დღიდან.

აღნიშნულ საჩივარს დამფუძნებლები შეიტანენ მრეგისტრავ ორგანოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაზე წარადგინოს საჩივარი თავისი განმარტებითურთ: სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილებამ—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, ხოლო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა—რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირში.

24. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების რეგისტრაციისათვის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული კომისიის დადგენილების ასლი 23 მუხ. აღნიშნულ საჩივრების თაობაზე გამოეცხადება დამფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლების განცხადებაში ან თვით საჩივარში აღნიშნულ პირს, რომელსაც ჩამოერთმევა ხელწერილი ასლის მიღების დღის აღნიშვნით, ან გაიგზავნება საფოსტო დაზღვეული წერილის სახით განცხადებაში აღნიშნული მისამართის თანახმად. უკეთუ ერთი თვის ვადის განმავლობაში, დღიდან რეგისტრაციაზე უარის მთქმელ ორგანოში საჩივრის მიღებისა, გამოტანილ არ იქნება არავითარი დადგენილება, ეს მრეგისტრავი ორგანო მოვალეა რეგისტრაცია გაუკეთოს უწყებულ სას.-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციას.

ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრაცია მიიღებს ასეთ მექანიკურ ხასიათს, სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი—კუთვნილებისამებრ—მოვალეა, უკეთუ იგი საჩივარს დააყოვნებს სამს დღეზე მეტ ხანს, განმარტოს ამ დაყოვნების მიზეზი.

**5. შეერთებული ან გაყოფილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი.**

25. იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაცია, რომელიც შეიქმნა არსებულ ორგანიზაციათა შეერთებით ან გაყოფით, მოხდება საერთო, ამა ინსტრუქციის 1—4 და 22 მუხლებით განსაზღვრული, წესით.

26. უკეთუ შეერთდება ორი ან რამდენიმე არსებული სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაცია ახალ სას.-სამეურნეო კოოპერატიულ ორგანიზაციად ახალი წესდების საფუძველზე და ახალი სახელწოდებით, სარეგისტრაციო განცხადებას, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა შემაერთი ორგანიზაციის გამგეობა, დაერთვის: 1) ოთხი, ხოლო მე-9 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამი სრულიად თანაბარი ცალი ახლად მოსაწყობი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებისა, რომელსაც ხელს მოაწერენ ზემოაღნიშნული გამგეობანი; 2) ცნობები იმ ორგანოებისა, რომლის რეგისტრაციაშიაც გატარებული იყო შემაერთი სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციების წესდებები, რომ შემაერთი კოოპერატიული ორგანიზაციების კრედიტორებს კანონით დაწესებულ ვადაზე პროტესტი არ განუცხადებიათ; 3) შემოწმებული ასლები შემაერთი სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციების საერთო კრებების დადგენილებისა შეერთებისა, ახლად მოსაწყობი ორგანიზაციის წესდების მიღებისა და იმ შეთანხმების დამტკიცების შესახებ, რომლის საფუძველზედაც უნდა მოხდეს შეერთება.

**შენიშვნა.** უკეთუ კრედიტორების მიერ განცხადებულ იქნება პროტესტი, შეერთების ნიადაგზე ახლად მოსაწყობი სას.-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციის რეგისტრაცია მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მრეგისტრავ ორგანოში წარდგენილ იქნა სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სათანადო კრედიტორების შეთანხმების ასლი ან იმ დადგენილების ასლი, რომლითაც უარყოფილია კანონით განსაზღვრული წესისამებრ კრედიტორების მიერ განცხადებული პროტესტი.

27. უკეთუ არსებული სას.-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები შეერთდენ ისე, რომ ერთი არ რამდენიმე ორგანიზაცია შევიდა არსებული სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის შედგენილობაში ამ უკანასკნელის წესდების

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველზე და მისივე სახელწოდებით, სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილება ან, სათანადო შემთხვევაში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გაუკეთებს რეგისტრაციას დადგენილებას შეერთების შესახებ და აღნიშნავს სარეგისტრაციო დავთარში.

არსებულ სას.-სამ. კოოპერატიულ ორგანიზაციაში შემავალი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების იმ დადგენილების ასლის გარდა, რომლითაც გადაწყვეტილია ხსენებულ ორგანიზაციასთან შეერთება, სარეგისტრაციო განცხადებას უნდა დაერთოს იმ ორგანოების ცნობები, რომლის რეგისტრაციაშიაც გატარებულია უწყებულ ორგანიზაციაში შემავალი ორგანიზაციების წესდებები, რომ ამ უკანასკნელი ორგანიზაციების კრედიტორებს კანონით დაწესებულ ვადაზე პროტესტი არ განუცხადებიათ, ან სათანადო შემთხვევაში—აღნიშნული სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციებისა და მათი კრედიტორების შეთანხმების ასლი, ან და იმ დადგენილების ასლი, რომლითაც უარყოფილია კრედიტორების მიერ განცხადებული პროექტი.

28. არსებული სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციის გაყოფის დროს ახლად მოსაწყობი ორგანიზაციების წესდებები გატარებულ უნდა იქნეს სათანადო ორგანოების რეგისტრაციაში ამა ინსტრუქციის 1—4 და 22 მუხლების თანახმად. სარეგისტრაციო განცხადებას, რომელსაც ხელს მოაწერს გასაყოფი სას.-სამ. ორგანიზაციის გამგეობა, უნდა დაერთოს: 1) ოთხი (სათანადო შემთხვევაში—მე-9 მუხ. მიხედვით—სამი) სრულიად თანაბარი ცალი ახლად მოსაწყობი ორგანიზაციების წესდებებისა, რასაც ხელს მოაწერს გასაყოფი ორგანიზაციის გამგეობა; 2) შემოწმებული ასლი საერთო კრების დადგენილებისა გაყოფისა და ახლად მოსაწყობი სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაციების წესდებების მიღების შესახებ; 3) იმ ორგანოს ცნობა, რომლის რეგისტრაციაშიაც გატარებულია გასაყოფი სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაცია, რომ მის კრედიტორებს კანონით დაწესებულ ვადაზე პროტესტი არ განუცხადებიათ, ან—სათანადო შემთხვევაში—ასლი აღნიშნული სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციისა და მისი კრედიტორების შეთანხმებისა განცხადებული პროტესტის თავიდან აცილების შესახებ, ან და ასლი იმ დადგენილებისა, რომლითაც უარყოფილია კრედიტორების მიერ განცხადებული პროტესტი.

29. არსებული ორგანიზაციების შეერთებისა თუ გაყოფის ნიადაგზე წარმოშობილი სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ მრეგისტრავი ორგანო, ამა ინსტრუქციის 21 მუხლის წესისამებრ, რეგისტრაციაქმნილი ორგანიზაციისათვის სარეგისტრაციო წარწერის მქონე წესდების ცალის მიცემასთან ერთად,—აცნობებს იმ ორგანოებს, რომელთა რეგისტრაციაშიაც გატარებულ არიან შეერთებული თუ გაყოფილი ორგანიზაციები, რეგისტრაციის მოხდენის დღეს სარეგისტრაციო დავთრებში აღსანიშნავად.

ხსენებული ცნობის მიმღები ორგანო აღნიშნავს სარეგისტრაციო დავთარში სათანადო სას.-სამეურნეო კოოპ. ორგანიზაციის მოსპობას; ამასთანავე, გაყოფილი სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაციის მოსპობას იგი აღნიშნავს მხოლოდ მაშინ, უკეთუ მას ხელთ ექნება ორგანოების ცნობა—გაყოფის ნიადაგზე ყველა წარმოშობილი სას.-სამ. კოოპ. ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 6. იმ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციების რეესტრიდან ამოშლის წესი, რომლებიც არ წარმოიშვენ და რომლებმაც მოსპეს თავიანთი მოქმედება.

30. რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაცია მოვალეა, ექვსი თვის განმავლობაში დღიდან რეგისტრაციის შესახებ ცნობის მიღებისა, შეუდგეს მოქმედებას და ეს იმ ორგანოს აცნობოს, რომელმაც მას რეგისტრაცია გაუკეთა. წინაღმდეგ შემთხვევაში—სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაცია, ზემოაღნიშნული ვადის გასვლისას, წარმოუშველად ითვლება და მისი დამფუძნებელნი ან გამგეობა მოვალენი არიან დაუბრუნონ მრეგისტრავ ორგანოს თავიანთი წესდება და წარუდგინონ მას თავიანთი ბეჭედი.

უკეთუ რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციისაგან განსაზღვრულ ვადაზე მიღებულ არ იქნება ცნობა მოქმედების დაწყების შესახებ, ის ორგანო, რომელმაც ამ ორგანიზაციის წესდებას რეგისტრაცია გაუკეთა, უნდა შეეკითხოს აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელთ ან გამგეობას და მოსთხოვოს წესდების დაბრუნება და ბეჭდის წარდგენა. უკეთუ იგი ამ შეკითხვაზე პასუხს არ მიიღებს, მრეგისტრავი ორგანო გააუქმებს მის მიერ გაკეთებულ რეგისტრაციას, აღნიშნავს-რა ამას რეესტრში, და სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის ამოშლას აცნობებს იმ დაწესებულებებს, რომელთაც, ამა ინსტრუქციის 21 მუხლის თანახმად, გაეგზავნათ რეგისტრაციაქმნილი ორგანიზაციის წესდების ცალი; იგი აგრეთვე მიიღებს ღონისძიებას, სათანადო ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, დამფუძნებელთაგან წესდებისა, შტამპისა და ბეჭდის ჩამორთმევისათვის.

31. როდესაც მრეგისტრავი ორგანო მიიღებს სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციისაგან შეტყობინებას, რომ იგი მიქცეულია სალიკვიდაციოდ, საერთო კრების მიერ ლიკვიდაციის შესახებ გამოტანილი დადგენილებისა და სალიკვიდაციო კომისიის წევრთა სიის თანდართვით, ან რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას იძულებითი ლიკვიდაციის შესახებ ან და სასამართლოს გადაწყვეტილებას უწყებული ორგანიზაციის არაშემძლე ორგანიზაციად აღიარების შესახებ, აგრეთვე ისეთი დადგენილების თანახმად, რომლითაც გადაწყვეტილია უწყებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია იმის გამო, რომ მასში კანონით დაწესებული წევრთა მინიმუმი აღარ ითვლება, ხსენებული ორგანო, სადაც უწყებულ ორგანიზაციას რეგისტრაცია აქვს გაკეთებული, აღნიშნავს რეესტრში, რომ ეს ორგანიზაცია მიქცეულია სალიკვიდაციოდ, და აგრეთვე სალიკვიდაციო კომისიის არჩევისა თუ დანიშვნის დროს.

32. სალიკვიდაციო კომისიისაგან იმ ცნობის მიღებისათანავე, რომ სალიკვიდაციოდ მიქცეული სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის ლიკვიდაცია დამთავრებულია და სალიკვიდაციო კომისიის ანგარიში დამტკიცებული, მრეგისტრავი ორგანო აღნიშნავს რეესტრში ამ სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის მოსპობის დროს და აცნობებს მომხდარი ლიკვიდაციის შესახებ იმ დაწესებულებებს, რომელთაც, ამა ინსტრუქციის 21 მუხლის თანახმად, გაეგზავნათ რეგისტრაციაქმნილი ორგანიზაციის წესდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 7. რეესტრის წარმოებისა და სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციების რეგისტრაციის საქმისწარმოების წესი.

33. ყველა რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციისათვის წარმოებულ უნდა იქნეს საერთო სარეგისტრაციო დავთარი (რეესტრი). აღნიშნულ დავთარში ფურცლები დანომრილი და ზონარგაყრილი უნდა იყოს და დანომრილი ფურცლების რიცხვი დამოწმებულ უნდა იქნეს მრეგისტრავი ორგანოს სათანადო ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

34. სარეგისტრაციო დავთარში თვითეული რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციისათვის დანიშნული უნდა იყოს ცალკე ფურცელი შემდეგი გრაფებით: 1) რეესტრის №№ რიგზე; 2) რეგისტრაციის თარიღი; 3) სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის სახელწოდება; 4) მოქმედების რაიონი; 5) გამგეობის სამყოფელი ადგილი; 6) მოქმედების დაწყების დრო; 7) წესდების შეცვლის აღნიშვნა; 8) სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის სალიკვიდაციოდ მიქცევის დრო; 9) სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის მოსპობის აღნიშვნა.

სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის რეესტრი არ განახლდება თვითეული წლის დასაწყისში ან სარეგისტრაციო დავთრის ახალი ტომის შემოღების დროს: რიგობრივი ნუმერაცია რეესტრში განუწყვეტლივ გრძელდება წლითი-წლობით.

თვითეული ჩანაწერი და აღნიშვნა რეესტრში ხელმოწერილი უნდა იქნეს სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგისა ან მისი მოადგილისა და იმ თანამშრომლის მიერ, რომელიც რეესტრს აწარმოებს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში რეგისტრაციის დროს, სამაზრო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგის ნაცვლად, ხელს მოაწერს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ან მისი მოადგილე, ან და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სხვა პასუხისმგებელი თანამშრომელი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დანიშვნისამებრ.

ჩანაწერები და აღნიშვნები რეესტრში შეიტანება გარკვევით და ყოველი შესწორება უნდა აღინიშნოს ზემოდ დასახელებული პირების ხელმოწერით.

35. სარეგისტრაციო დავთრის გარდა, მრეგისტრავი ორგანო აწარმოებს საალფაბეტო ნუსხას, რომელშიაც ყველა რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაცია მოთავსებული იქნება სახელწოდების თანახმად ალფაბეტის მიხედვით, რეგისტრაციისამებრ, რეესტრის სათანადო გვერდის აღნიშვნით.

36. თვითეული რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციისათვის მრეგისტრავი ორგანო შეადგენს ცალკე საქმეს, რაშიაც ჩართული იქნება ყველა შემოსული განცხადება რეგისტრაციის შესახებ და მისი დანართები, წესდების დედანი და მთლად შემდგომი მიწერმოწერა წესდების შეცვლისა თუ დამატების თაობაზე და სხვა მიწერ-მოწერა.

რეგისტრაციაქმნილი სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციების საქმეები ინახება მრეგისტრავ ორგანოში სამი წლის განმავლობაში დღიდან აღნიშნული ორგანიზაციების მოქმედების მოსპობისა, ხოლო ამ ვადის გასვლისას -გადაიცემა, განსაზღვრული წესისამებრ, ცენტრალური არქივის ადგილობრივი ორგანოს განკარგულებაში.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

37. სარეგისტრაციო დავთრისა და საალფაბეტო ნუსხის გარდა, სამიწათ-მოქმედო განყოფილება აწარმოებს აგრეთვე სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციებისათვის რეგისტრაციაზე უარისთქმის დავთარს შემდეგი გრაფებით: 1) უარისთქმის თარიღი; 2) სას.-სამ. კოოპერ. ორგანიზაციის სახელწოდება; 3) მისი მოქმედების რაიონი; 4) გამგეობის სამყოფელი ადგილი; 5) სარეგისტრაციო განცხადების მიღების თარიღი; 6) რეგისტრაციაზე უარისთქმის მიზეზი.

38. მოქმედება-მოსპობილი სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ დაბრუნებული ბეჭდები და შტამპები მრეგისტრავმა ორგანომ უნდა გააუქმოს სათანადო აქტის შედგენით.

39. ინსტრუქცია ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ინსტრუქცია გამოცემულია ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის 1927 წ. ნოემბრის 26-ს დადგენილების (ოქმი № 22) შესასრულებლად და ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, ა/კ. სას.-სამეურნეო ბანკთან და ა/კ. კოოპერაციის საბჭოსთან შეთანხმებით.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **გენკინი.**

საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი **უბირია.**

სავალიუტო სამმართველოს უფროსი **საფარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 78 №-ში 1928 წ. აპრილის 4-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

## 92. შრომის კანონთა კოდექსის 176, 179, 181, 183, 184, 185 და 186 მუხლების შეცვლისა და დამატებისა, შრომის კანონთა კოდექსისათვის 184¹ მუხლის დამატებისა და შრომის კანონთა კოდექსის 182 მუხლის გაუქმების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გასაცემი დახმარების დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ" 1927 წლის დეკემბრის 28-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შესასრულებლად („სსრკ ცენ. აღმ. კომ. იზვესტია"-ს მე-20 №-რი 1928 წ. იანვრის 24-სა)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: შრომის კანონთა კოდექსის (ა/კსსრფს კან. კრ. 1923 წლის მე-7 №-რი, მუხ. 89) ქვემოდ ჩამოთვლილი მუხლები შევსებულ და შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

176 მუხლის „ბ" პუნ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დახმარების გაცემას შრომის უნარის დროებით დაკარგვისათვის (საერთო დაავადება, პროფესიონალური დაავადება, შრომისაგან დაშავება, ორსულობა, და მშობიარობა, კარანტინი და ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა)".

ეროვნული ბიბლიოთეკა

179 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ყველა დაზღვეული, შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით არის ეს გამოწვეული (176 მუხ. „ბ“ პუნ.), უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დახმარებით მთელი მისი საქირავნო სამუშაო საშოვრის რაოდენობით, იმ გამონაკლისით, რაც განსაზღრულია 186 მუხლის წესით“.

181 მუხლი სიტყვა „კოდექსის“ შემდეგ შევსებულ იქნეს სიტყვებით: „უკეთუ მათ აქვთ არა ნაკლებ, ვიდრე 6 თვის საქირავნო მუშაობის სტაჟი“.

183 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„181 მუხლში აღნიშნული დახმარების გარდა, დახმარება ბავშვის გაჩენის გამო მიეცემა დაქირავებით მომუშავე ქალს, აგრეთვე დაქირავებით მომუშავე პირის ცოლს, უკეთუ ერთ-ერთ მშობელთაგანს აქვს არა ნაკლებ, ვიდრე 6 თვის საქირავნო მუშაობის სტაჟი და იმ პირობით, უკეთუ სამუშაო საშოვარი თვითეული მშობლისა არ აღემატება იმ მაქსიმუმს, რაც დაწესებულია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ“.

184 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„დახმარება დასაფლავებისათვის გაიცემა როგორც თვით იმ პირის სიკვდილის გამო, რომელიც დაქირავებით მუშაობს, ისე მის რჩენაზე მყოფი მისი ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო.

პირველ შემთხვევაში დახმარება მიეცემა გარდაცვალებულის უახლოეს ნათესავთ, რომელნიც დასაფლავების ხარჯს აწარმოებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში—თვით დაქირავებით მომუშავე პირს.“

შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს $184^{1}$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„შრომის კანონთა კოდექსის 183 და 184 მუხლებში აღნიშნული დახმარების მიღების უფლება აქვთ აგრეთვე იმ უმუშავართ, რომელნიც იღებენ დახმარებას უმუშევრობისათვის (185 მუხ.), და მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფილ შრომის ინვალიდებს და მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც მრჩენელი დაჰკარგეს.

ხანგრძლივ შვებულებაში, სათადარიგოდ და სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ პირთ ვადაზე მეტობითი სამსახურის უმცროსი, საშუალო, უფროსი და უმაღლესი სამეთაურო შედგენილობისა—როგორც დაქირავებით მომუშავეთ, ისე მათ, ვინც სოციალური დაზღვევის ორგანოსაგან დახმარებას იღებს უმუშევრობისათვის, ხოლო იმ პირთა გამოკლებით, ვინც პენსიას იღებს „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრების უფროსთა შედგენილობის სახელმწიფო სახსარით უზრუნველყოფის შესახებ“ 1926 წ. მარტის 19-ს თარიღით გამოცემული დებულების (სსრკ კან. კრ. 1926 წ. მე 20 №-რი, მუხ. 131) წესით,—უფლება აქვთ მიიღონ ამა მუხლით გათვალისწინებული დახმარება, იმისდა მიუხედავად, ექნებათ მათ დაქირავებით მუშაობის სტაჟი, თუ არა.“

185 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„დახმარება უმუშევრობისათვის მიეცემა მხოლოდ ისეთ უმუშევარს, რომელიც წინად დაქირავებით მუშაობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანგრძლივ შევებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ პირთ ვადაზე მეტობითი სამსახურის უმცროსი, საშუალო, უფროსი და უმაღლესი სამეთაურო შედგენილობისას,— ხოლო იმ პირთა გამოკლებით, ვინც პენსიას იღებს „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრების უფროსთა შედგენილობის სახელმწიფო სახსარით უზრუნველყოფის შესახებ“ 1926 წ. მარტის 19-ს თარიღით გამოცემული დებულების წესით,—უფლება აქვთ მიიღონ დახმარება უმუშევრობისათვის იმ შემთხვევაშიაც, თუნდაც წინად მათ დაქირავებით არ ემუშავნოთ.

**შენიშვნა.** ხანგრძლივ შვებულებაში, სათადარიგოდ ან სრულიად სამსახურიდან დათხოვნილ დანარჩენ პირთა მიმართ ძალაში რჩება „სსრკ მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახის წევრთა შეღავათებისა და უპირატესობის კანონთა კოდექსის“ 87 მუხლი (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 37 №-რი, მუხ. 275)“.

186 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო განსაზღვრავს: 1) დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის მისაცემი დახმარების გამოანგარიშების წესს; ბ) სათანადო შემთხვევაში (176 და 183 მუხლ.) დაქირავებით მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების წესს; გ) დროებით შრომის უნარდაკარგულობისათვის დახმარების გაცემის განსაკუთრებულ პირობებსა, ამ დახმარების რაოდენობას და ვადის ხანგრძლიობას—იმ პირთა მიმართ, ვინც ისეთ სამუშაოზე მუშაობს, რაც მთელი წლის განმავლობაში არა სწარმოებს ან რასაც დროებითი ხასიათი აქვს; დ) 173 და 184 მუხლებში აღნიშნული დახმარების გაცემის პირობებს, ამ დახმარების ნორმებს, ბავშვის გამოსაკვებად მისაღები დახმარების ვადას, აგრეთვე ოჯახის იმ წევრთა წრეს, რომელთა დასაფლავებისათვისაც გაიცემა დახმარება და იმ ახლობელი ნათესავების წრეს, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ დახმარება დაქირავებით მომუშავე პირის დასაფლავებისათვის; ე) 183 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო საშოვრის მაქსიმუმს; ვ) უმუშევრობისათვის დახმარების გაცემის პირობებს, ამ დახმარების რაოდენობას და გაცემის უკიდურეს ვადას ზ) დახმარების აღკვეთის საერთო პირობებსა და წესს“.

შრომის კანონთა კოდექსის 182 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 7. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 79 №-ში 1928 წ. აპრილის 5-ს.

№ 9/
ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება № 7 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის მარტის 26.

**93. ეტიკეტების შესახებ.**

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ყოველი საქონელი, რომლისთვისაც დაწესებულია საეტიკეტო ფასი, გასაყიდად უნდა გამოიშვებოდეს საქონლის ხასიათის შესაფერ საფუთავში, რაც სათანადო ორგანოს მიერ დამტკიცებული ეტიკეტის სახით უნდა იქნეს შეწებებული.

2. ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ფირმის ნამდვილი სახელწოდება;

ბ) წარმოების ადგილი და ფირმის ნამდვილი მისამართი;

გ) საქონლის სახელწოდება;

დ) საფაბრიკო-საქარხნო მარკა;

ე) წონა ან, უკეთუ საქონელი ცალობით არის ჩაფუთვილი, წონა და რაოდენობა;

ვ) ხარისხი;

ზ) საეტიკეტო ფასი ან საქონლის რაოდენობა;

თ) წარწერა: „ეტიკეტზე აღნიშნულ ფასზე ძვირად გაყიდვა კანონით ისჯება“.

3. შემდგომ გამოშვებული საქონლის ეტიკეტის გარეგანი სახე სრულიად უნდა შეესაბამებოდეს წინად გამოშვებული საქონლის ეტიკეტს, უკეთუ არ მოხდა რაიმე, განსაზღვრული წესით დამტკიცებული, ცვლილება.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 79 №-ში 1928 წ. აპრილის 5-ს.

---

## დადგენილება № 21 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწვ. და სასურს. საქონლის სამმართველო)

1927 წ. სექტემბრის 6.

**94. შუშა-ფაიფურის ნაკეთობის უკიდურესი საბითუმო ფასების წანამატების დაწესების შესახებ.**

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ივლისის 22-ს თარიღის დადგენილების თანახმად და ა/კ·

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წლის მაისის 8-ს თარიღისა და 39 №-ის დადგენილების გასაუქმებლად—ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ „პროდსილიკატ"-ის სინდიკატის განყოფილებებისა და სხვა შემომზიდავი სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შუშა-ფაიფურის ნაკეთობის სატრანზიტო გაყიდვისათვის (ფრანკო-ვაგონ-გაგზავნის სადგური ან ბირჟა-გემთსადგომი) მაქსიმალურ უკიდურესი წანამატი 3 პროც. რაოდენობით ტრესტების საგასაცემო ფასებზე.

2. დაწესებულ იქნეს „პროდსილიკატი"-ისა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების საწყობებში შუშა-ფაიფურის ნაკეთობის ბითუმად გაყიდვისათვის მაქსიმალურ უკიდურესი წანამატი (სატრანსპორტო ხარჯის გარეშე) 10 პროც. რაოდენობით ტრესტების საგასაცემო ფასებზე.

3. წინადადება ეძლევა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ იმ რესპუბლიკაში, რომლის მოქმედების რაიონშიაც „პროდსილიკატ"-ის განყოფილება ან სხვა სახელმწიფო ორგანიზაცია აწარმოებს შუშა-ფაიფურის ნაკეთობის ბითუმად გაცემას, დააწესოს მათთვის სატრანსპორტო ხარჯების რაოდენობა და გამოაცხადოს საბითუმო-სასაწყობო ვაჭრობისათვის მაქსიმალურ-უკიდურესი წანმატი, რაც სატრანსპორტო ხარჯებსაც უნდა შეიცავდეს.

**შენიშვნა.** ამა დადგენილებით განსაზღვრული წანამატები ფანჯრის ნახევრად-თეთრ შუშაზე არა ვრცელდება.

4. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის 1927 წ. სექტემბრის 6-დან და გავრცელდება აგრეთვე წინად დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის იმ ნაწილზე, რაც ჩაბარებული არ იქნება დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის, უკეთუ აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული არ არის ამა დადგენილებით დაწესებულ წანამატებზე ნაკლები წანამატები.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

სამრ. და სასურ. საქონლის სამმართ. უფროსის მაგიერ **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **გნატიუკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 80 №-ში 1928 წ. აპრილის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება № 25 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 95. ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკში სოფლის მოსახლეობის ულარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი წესები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. თებერვლის 20. ტფილისი—სასახლე.

### წესები ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკში სოფლის მოსახლეობის ულარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ფონდის შექმნისა და ხარჯვის შესახებ.

1. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოფლის მოსახლეობის ულარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ფონდების შესახებ“ გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 72 №-რი, მუხ. 560) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკში, მისი სპეციალური კაპიტალის სახით, დაარსდება სოფლის მოსახლეობის ულარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ფონდი.

2. ამა წესების 1-ლ მუხლში დასახელებული ფონდი დანიშნულია, რათა საკრედიტო დახმარება გაეწიოს განსაკუთრებით შეღავათიან პირობებზე ა/კსფსრ გლეხთა მოსახლეობის ულარიბეს ფენებს, რომელნიც სოფლის მეურნეობას და სოფლის მეურნეობასთან უშუალოდ დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო რეწაობასა და შინამრეწველობას მისდევენ.

ფონდის სახსარიდან კრედიტის გაცემას უნდა ჰქონდეს წარმოებითი ხასიათი, რაც უზრუნველჰყოფს საკრედიტავი მეურნეობის სიმყარეს და შემდგომ განვითარებას.

3. სოფლის მოსახლეობის ულარიბეს ნაწილისათვის კრედიტის მისაცემი ამიერკავკასიის ფონდი შეიქმნება:

ა) 1925-26, 1926-27 და 1927-28 წლების ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით ლარიბთა ფონდში გადასადები ასიგნევების ა/კსფსრ-თვის დანიშნული ნაწილებისაგან;

ბ) შემდგომი წლების ბიუჯეტით ლარიბთა ფონდში გადასადები ასიგნევებისაგან;

გ) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ ბანკის 1925-26 და 1926-27 საოპერაციო წლების წმინდა მოგებიდან გადადებული ანარიცხებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის შემდგომი წლების წმინდა მოგებიდან გადასადები ანარიცხებისაგან არა ნაკლებ წმინდა მოგების 10%-სა;

ე) დანარჩენი სხვადასხვა შემოსავლისა და ასიგნვისაგან.

4. ამა წესების მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „ე“ პუნქტში აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნვები სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის საკრედიტო ფონდში გადაიცემა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის უპროცენტო ანაბარის სახით მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ფონდი იარსებებს. ამა წესების მე-3 მუხლის „გ“ და „დ„ პუნქტით გათვალისწინებული სახსარი გადაეცემა ფონდს აგრეთვე მთლად მისი არსებობის განმავლობაში.

5. ფონდიდან კრედიტის მიღება შეუძლიანთ როგორც უღარიბესი გლეხობის საშრომო კოლექტივებსა და შენაერთებს (კოლექტიური მეურნეობა, სამანქანო ამხანაგობა, სას.-სამ. ამხანაგობა მიწის შეერთებულის ძალით დამუშავებისათვის და სხვ.), ისე ღარიბთა ჯგუფებს და უღარიბეს ინდივიდუალურ მეურნეობებს.

უღარიბეს ინდივიდუალურ მეურნეობებს შეუძლიანთ კრედიტი მიიღონ ფონდის საერთო თანხის არა ნაკლებ 30 პროცენტისა და არა უმეტეს, ვიდრე 40 პროცენტის ფარგლებში.

6. ფონდიდან სესხი გაიცემა მხოლოდ შემდეგი მიზნებისათვის და შემდეგი პირობებით:

| სესხის დანიშნულება | კრედიტის ვადა | წლიურად სესხის დაფარვის ვადა და რაოდენობა |
|---|---|---|
| 1. მუშა-საქონლის შესაძენად . . . . . | 5 წელ. | მე-2 წლიდან სესხის მიღების მომენტის შემდეგ: მე-2 წელს—15%, მე-3 წელს—25%, მე-4 წელს—30% და მე-5 წელს—30%. |
| 2. მსხვილფეხა მოსარგებლე საქონლის შესაძენად | 4 წელ. | მე-2 წლიდან: მე-2 წელს—20%, მე-3 წელს—30% და მე-4 წელს—50%. |
| 3. სას.-სამ. მანქანებისა და იარაღის შესაძენად (ხოლო კოლექტივებისათვის ტრაქტორებისა და რთული მომსთვლევი მანქანებისა) | 4 წელ. | მე-2 წლიდან: მე-2 წელს—20%, მე-3 წელს—30% და მე-4 წელს—50%. |
| 4. წვრილფეხა მოსარგებლე საქონლისა და წვრილი სას.-სამეურ. ინვენტარის შესაძენად | 3 წელ. | მე-2 წლიდან: მე-2 წელს—40%, მე-3 წელს—60%. |
| 5. წმინდა ხარისხოვანი თესლისა და სასუქის შესაძენად და სადედეების გასასაშენებლად | 3 წელ. | ი ს ე ვ ე. |
| 6. კაპიტალური ხარჯები სპეციალური კულტურების გასავრცელებლად (ვენახებისა, ხილის ბაღებისა და სხვ. გაშენება) | 8 წელ. | მე-5 წლიდან: მე-5 წელს—15%, მე-6 წელს—25%, მე-7 წელს—30% და მე-8 წელს—30%. |
| 7. სას.-სამეურნეო მნიშვნელობის შენობების ასაგებად (გომურებისა, სარაიებისა, ამბრებისა) | 8 წელ. | მე-2 წლიდან: მე-2 წელს—5%, მე-3 წელს—10%, მე-4 წელს—10%, მე-5 წელს—15%, მე-6 წელს—15%, მე-7 წელს—20% და მე-8 წელს—25%. |
| 8. სას.-სამ. რეწაობისა და შინამრეწველობის ინვენტარისა და გაწყობილობის შესაძენად | 3 წელ. | მე-2 წლიდან: მე-2 წელს—40% და მე-3 წელს—60%. |

ეროვნული

**შენიშვნა.** გადახდის დაწყებითი და საბოლოო ვადები და აგრეთვე ნაწილ-ნაწილი გადასახადის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ცალკე შემთხვევაში მსესხებლის მეურნეობრივი მდგომარეობის მიხედვით.

7. ღარიბთა საკრედიტო ფონდიდან გაცემული სესხის პროცენტი ბოლო საფეხურის მსესხებლისათვის დაწესდება $2^1/_2$ პროც. რაოდენობით წლიურად.

პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს სესხის კაპიტალური ნაწილის გადახდასთან ერთად. აღნიშნული პროცენტით დაიფარება ფონდის ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯები; პროცენტი დაწესებულია სას.-სამ. კრედიტის სისტემის ცალკე საფეხურებისათვის შემდეგნაირად:

ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი სესხს გასცემს უპროცენტოდ; რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები გასცემენ $^1/_2$ პროცენტით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობანი—$2^1/_2$ პროცენტით.

8. სესხი გაიცემა არა უმეტეს, ვიდრე შესაძენი ქონებისა ან საკრედიტავი ღონისძიების კაპიტალური სახარჯავის ღირებულების 90 პროც. რაოდენობით; ხოლო ცალკე შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, სესხი შეიძლება გაიცეს საკრედიტავი ღონისძიებისა ან კაპიტალური სახარჯავის ღირებულების 100 პროც. რაოდენობით. სესხის უკიდურესი რაოდენობა განისაზღვრება: ინდივიდუალური უღარიბესი მეურნეობისათვის—200 მან., ხოლო კოლექტიური მეურნეობისათვის—200 მან. ვარაუდით თვითეულ გაერთიანებულ მეურნეობაზე, მაგრამ არა უმეტეს 4.000 მანეთისა.

9. ყველა ის სესხი, რაც გაიცემა სულიერი და უსულო ინვენტარის შესაძენად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ ინვენტარით; ყველა დანარჩენ შემთხვევაში სესხი გაიცემა პირადი სავალო ვალდებულების ჩამორთმევით და აგრეთვე გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის თავდებობით.

ღარიბთა საკრედიტო ფონდიდან გაცემულ სესხზე გავრცელდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ნოემბრის 26 დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ნორმალური წესდების მე-60 მუხლით განსაზღვრული წესი.

10. ფონდის სახსართა (საბიუჯეტო ასიგვნები, ა/კსფსრ სას.-სამ. ბანკის ანარიცხები და ამიერკავკასიის ფონდიდან წინად გაცემულ სესხთა დაბრუნებული თანხები) განაწილებას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ 3-ს ძირითად რესპუბლიკებს შორის მოახდენს ყოველ წელს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული სპეციალური კომისია შემდეგი 5 პირის შედგენილობით: თითო წარმომადგენელი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის სას.-სამ. ბანკისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა. განაწილებას დაამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი.

11. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკები ამიერკავკასიის ღარიბთა საკრედიტო ფონდიდან მათთვის გადაცემულ სახსარს გაანაწილებენ განსაკუთრებული გეგმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულ უნდა იქნეს იმ წესით, რასაც დაამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობანი ამა წესების საფუძველზე.

თბილისი

ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკებისაგან მიღებული ამიერკავკასიის ღარიბთა საკრედიტო ფონდის სახსარის გამოყენების გეგმების საფუძველზე—შეადგენს აღნიშნული ფონდის სახსარიდან ღარიბეს მეურნეობათათვის კრედიტის გაცემის საჯუმლო გეგმას და მოათავსებს ამ გეგმას ა/კსფსრ სოფლის მეურნეობისათვის კრედიტის გაცემის საჯუმლო გეგმაში.

12. სესხი ფონდიდან როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ მეურნეობათ მიეცემათ სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით.

ის სესხი, რომელიც 1.000 მან. აღემატება (კოლექტიურ შენაერთისათვის), სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობას შეუძლიან გასცეს მარტოოდენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ბანკის თანხმობით, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, უშუალოდ თვით ამ ბანკმა.

13. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა მოვალეა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკისაგან მიღებული სახსარი ღარიბთა საკრედიტო ფონდისა გამოიყენოს მთლად მისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ და ზედმიწევნით შეასრულოს ყველა ის პირობა, რასაც სასოფლო-სამეურნეო ბანკი დაუსახავს.

ბოლო საფეხურის მსესხებელთა სიას შეადგენს კომისია, რომელშიაც შევლენ: სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობისა, აღმასრულებელი კომიტეტისა (თემი, დაირა ან უბანი) და გლეხთა ურთიერთი დახმარების ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელნი.

**შენიშვნა.** კოლექტიური შენაერთისათვის კრედიტის მიცემის დროს კომისიამ განსაკუთრებულის გულმოდგინებით უნდა გამოიკვლიოს ამ შენაერთის სოციალური შედგენილობა და არავითარ შემთხვევაში არ მისცეს კრედიტი ცრუშენაერთს.

14. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები და სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობანი მოვალენი არიან მეთვალყურეობა იქონიონ, რათა ფონდის სახსარი გამოიყენებოდეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ და მიიღონ ღონისძიება მსესხებლების მიერ გადასახადებისა და პროცენტების თავისდროზე შეტანისათვის. და ვადაგადაცილებული სესხის გადახდევინებისათვის.

**შენიშვნა. 1.** სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას უფლება აქვს, პატივსადები მიზეზის გამო, გადაუდოს მსესხებელს ფონდიდან აღებული სესხის გადასახადის შეტანის ვადა ერთ წლამდე.

**შენიშვნა 2.** უკეთუ მსესხებელი ვადაზე არ შეიტანს სესხის გადასახადსა და პროცენტს მასზე გადახდევინება მიიქცევა ამხანაგობის წესდების საერთო საფუძველზე უდავო წესისამებრ; ხოლო საურავი არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ისეთი რაოდენობით, რაც სესხის პროცენტს აღემატება.

15. ამიერკავკასის ღარიბთა საკრედიტო ფონდიდან გაცემული ყველა სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში და ჩაირიცხოს აღნიშნული ფონდის ანგარიშზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკის წინაშე პასუხს აგებენ ფონდიდან გაცემული სესხისათვის საკომისიო მინდობილობის აღსრულების წესით.

17. ის ზარალი, რაც შეიძლება მოუვიდეს ფონდს სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის სესხის მიცემით, დაიფარება ამავე ფონდიდან.

18. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნე ბანკი, რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი აწარმოებენ ფონდის სახსართა განსაკუთრებულ აღნუსხვას, რისთვისაც გამოჰყოფენ თავის ბალანსებში განსაკუთრებულ ანგარიშს როგორც პასივში („ღარიბთა საკრედიტო ფონდი“), ისე აქტივში („ღარიბთა საკრედიტო ფონდიდან გაცემული სესხი“).

19. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობანი შეადგენენ, ფონდის სახსართა მდგომარეობისა და მოძრაობის მიხედვით, ანგარიშგებას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული წესების საფუძველზე.

20. ფონდის სახსარიდან გაწეული ხარჯების რევიზიას—ამ ხარჯების სისწორისა და მეურნეობრივი მიზანშეწონილობის თვალსაზრისით—განახორციელებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

21. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკში არსებული ღარიბთა საკრედიტო ფონდის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით. ა/კსფსრ იგივე სახალხო კომისართა საბჭო განსაზღვრავს ფონდის ლიკვიდაციის წესს და მისცემს ფონდის სახსარს დანიშნულებას სოფლის მეურნეობის ფინანსიურად მოგვარების სახით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 81 №-ში 1928 წ. აპრილის 7-ს.

---

## დადგენილება № 26 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**96. სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების გამოყენების წესისა და სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა მომუშავეთათვის პერსონალური ჯამაგირის დანიშვნისა და სპეციალური დავალების შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემის წესის შესახებ.**

რათა სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელთ და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციონერო საზოგადოებების გამგეობათ შესაძლებლობა ჰქონდეთ უფრო მეტი მიზანშეწონილობით გამოიყენონ სამუშაო ხელფასის ფონდები წარმოების გასაუმჯობესებლად, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოთა შემოსავლის გასადიდებლად და უნაყოფო ხარჯების შესამცირებლად პერსონალური ჯამაგირების სათანადო დანორმვით და სპეციალური დავალების შესრულებისათვის განსაკუთრებული გასამრჯელოს გაცემით, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა მუშა-მოსამსახურეებს გასამრჯელო უნდა ეძლეოდეთ კოლექტიური ხელშეკრულებისა, სატარიფო შეთანხმებისა ან უწყებულ დაწესებულებასა თუ საწარმოში მომქმედი სატარიფო ქსელის ფარგლებში.

ის ჯამაგირი, რაც ამა მუხლში აღნიშნულ ფარგლებს აღემატება, პერსონალურ ჯამაგირად ჩაითვლება.

2. უწყებათა ხელმძღვანელთ და სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა გამგეობათ უფლება აქვთ ნება დართონ ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელთ დაუნიშნონ პერსონალური ჯამაგირი ცალკეულ მაღალკვალიფიციურ მომუშავეთ, ხოლო არა უმეტეს 360 მანეთისა თვიურად, აგრეთვე მისცენ ხოლმე მომუშავეთ განსაკუთრებული გასამრჯელო სპეციალურად შეკვეთილ საქმეზე მუშაობისათვის.

3. პერსონალური ჯამაგირებისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს გასაცემად საჭირო ფონდს განსაზღვრავენ მე-2 მუხლში აღნიშნული უწყებანი, საწარმონი და შერეული სააქციონერო საზოგადოებანი მტკიცე აბსოლუტურ ციფრად და მისი შეცვლა არ შეიძლება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების უსანქციოდ.

4. სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წ. მაისის 27-ს თარიღის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 33 №-რი, მუხ. 346) თანახმად, ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებთან არსებული სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების კომისიები გაუქმებულ იქნენ.

5. მე-3 მუხლში აღნიშნულ უწყებათა, საწარმოთა და შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა მიერ განსაზღვრული პერსონალური ჯამაგირებისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს გასაცემად საჭირო სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების რაოდენობის განხილვა და დამტკიცება დაეკისრება:

ა) ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—იმ უწყებათა, საწარმოთა და შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა მიმართ, რომელნიც ამიერკავკასიის მასშტაბით მუშაობენ;

ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს—რესპუბლიკანური მასშტაბის უწყებათა და შერეულ სააქციონერო საზოგადოებათა მიმართ;

6. დამყარებულ იქნეს შემდეგი წესი ისეთი პერსონალური ჯამაგირების განსაზღვრის შესახებ, რაც სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1925 წლის ივლისის 22-ის დადგენილებით დამტკიცებულ მაქსიმუმს აღემატება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფ საერთო-საკავშირო საწარმოთა და დაწესებულებათა მიმართ. განცხადება მაქსიმალურზე (360 მან.) მეტი ჯამაგირის დაწესების შესახებ წარედგინება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და მისი დასკვნითურთ წარიმართება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად;

ბ) ამიერკავკასიის მასშტაბის საწარმოთა და დაწესებულებათა მიმართ.

განცხადება ისეთი, მაქსიმალურზე მეტი, ჯამაგირის დაწესების შესახებ, რაც 500 მან. არ აღემატება თვიურად, წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს.

განცხადება ისეთი, მაქსიმალურზე მეტი, ჯამაგირის დაწესების შესახებ, რაც 500 მან. აღემატება თვიურად, წარედგინება განსახილველად ა/კსფსრ შრომის სახალხო კოსისარიატს და მისი დასკვნითურთ წარიმართება სსრკ შრომის სახალხო კომისარიატში საბოლოო დამტკიცებისათვის.

გ) რესპუბლიკანური მასშტაბის საწარმოთა და დაწესებულებათა მიმართ.

განცხადება მაქსიმალურზე მეტი ჯამაგირის დაწესების შესახებ წარედგინება ა/კსფსრ შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატს და მისი დასკვნითურთ წარიმართება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატში დასამტკიცებლად; ამასთანავე 500 მანეთზე მეტ ჯამაგირს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი წარმართავს დასამტკიცებლად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატში.

7. ვიდრე საბოლოდ არ დამტკიცდება ამა დადგენილების მე-6 მუხლით დაწესებული—მაქსიმალურზე მეტი—ჯამაგირები, ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური მასშტაბის დაწესებულებასა და საწარმოში მომუშავე სპეციალისტების განაკვეთი არ შეიძლება აღემატებოდეს სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დაწესებულ მაქსიმუმს.

8. იმ ხელშეკრულებას, რომლითაც გათვალისწინებულია 360 მანეთზე მეტი პერსონალური ჯამაგირი თვიურად, რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში.

9. ის პერსონალური ჯამაგირი, რაც 360 მან. არ აღემატება, შეიძლება დაწესებულ იქნეს პერსონალური საშრომო ხელშეკრულების დაუდებლად განსაკუთრებული ფორმით, ხოლო ისე-კი, რომ შრომის სასყიდლის გაცემის პირობები დამყარებულ იქნეს საერთო საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით (შრომის ხელშეკრულობით) და ჩაიწეროს ანგარიშგასწორების წიგნაკში. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებს უნდა ეცნობოს ხოლმე ასეთი ხელშეკრულების დადების შესახებ იმ ვადაზე, რასაც ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი განსაზღვრავს.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

11. ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-ის დადგენილება—„სპეციალურად შენაკვეთი საქმის შესრულებისათვის სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალური ჯამაგირისა და განსაკუთრებული გასამრჯელოს დანიშვნის წესის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მომუშავეთათვის და იმ შერეული სააქციო საზოგადოებათა მომუშავეთათვის, სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს" (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 118) და 1926 წ. ივნისის 23-ს თარიღისა და 21 №-რის დადგენილება—ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-რის, დადგენილების მე-3 მუხ. გამარტივებისა და განვითარების შესახებ—(ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-7 №-რი, მუხ. 682).

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გამოაქვეყნონ იმ დადგენილებათა ნუსხა, რომელთაც ძალა დაჰკარგეს ამა დადგენილების გამოცემის გამო.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. აპრილის 7. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 83 №-ში 1928 წ. აპრილის 10-ს.

---

## სავალდებულო დადგენილება № 25 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1927 წ. ნოემბრის 30.

### 97. აგურის წარმოების მეტრიზაციის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების მე-11 მუხ. „გ" პუნ. შესასრულებლად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს 1928 წ. მაისის 1-დან:

ა) ჩვეულებრივი საშენი და შამოთის აგურის რუსული ზომით გამოშვება;

ბ) რუსულ საზომთა ხმარება ყველა იმ ოპერაციებისათვის, რაც დაკავშირებულია ჩვეულებრივი საშენი და შამოთის აგურის წარმოებასთან.

2. ამ დადგენილების 1-ლი მუხ. შესასრულებლად ყველა საწარმო, რომელიც-კი ჩვეულებრივ საშენ და შამოთის აგურს ამზადებს, მოვალეა იქონიოს აღნიშნული ვადისთვის აგურის დასამზადებლად საჭირო სასწორი, გირები, ფორმები და სხვა საწონ-საზომი და ხელსაწყო მარტოოდენ მეტრული ზომა-წონისა.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადიდან მარტოოდენ მეტრული საზომ-საწონით უნდა მოხდეს ხოლმე აგურის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულის ამოღების ოპერაცია (თიხის კარიერების გაზომვა, ნორმები და შეფასება მუშებისათვის კარიერების დამუშავების დროს, თიხის მიზიდვა და სხვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული საერთო-საკავშირო სტანდარტების თანახმად, აგურის ზომად მიიღება.

1) ჩვეულებრივი საშენი აგურისათვის—250 X 120 X 65 მმ. (საამშ.-სატეხ. განყ. მიერ დამტკიც. 1927 წ. ივნისის 23, № 101).

2) შამოთის აგურისათვის (საამშ.-სატეხ. განყ. მიერ დამტკიც. 1927 წ. მარტის 16, № 75).

**ა. დიდი ზომისა.**

1) ჩვეულებრივი (სწორე)—250 მმ. X 123 მმ. X 65 მმ.
2) სათალე (სოლი)—250 მმ. X 123 მმ. X 65 მმ. X 55 მმ.
3) სათალე (გვერდი)—250 მმ. X 65 მმ. X 55 მმ.

**ბ. პატარა ზომისა.**

1) ჩვეულებრივი (სწორე)—230 მმ. X 112 მმ. X 65 მმ.
2) სათალე (სოლი)—230 მმ. X 112 მმ. X 65 მმ. X 55 მმ.
3) სათალე (გვერდი)—230 მმ. X 112 მმ. X 65 მმ. X 55 მმ.

5. ამა სავალდებულო დადგენილების განხორციელება დაეკისრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, ხოლო მეთვალყურეობა თავის დროზე შესრულებისათვის—ეკონომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულთ—ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელთა სახით.

6. ამა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე თანამდებობის პირი და კერძო პირი მიიცემა პასუხისგებაში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის თანახმად.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის

თავმჯდომარე **ნაჯაფოვი.**

მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 84 №-ში 1928 წ. აპრილის 11-ს.

---

## დადგენილება № 27 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**98.** **ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების საქმეზე მომუშავეების სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, დაავალონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს, რათა მათ უზრუნველჰყონ ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების საქმეზე მომუშავე მუშები პირველი სამკურნალო დახმარებით შემდეგ საფუძვლებზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების საქმეზე მომუშავე მუშები, რომელნიც ისეთ რაიონებში მუშაობენ და სცხოვრობენ, სადაც საავადმყოფოები და ამბულატორიებია, უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სამკურნალო დახმარებით აღნიშნულ დაწესებულებათა სახსარით.

2. უკეთუ ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოს ისეთ რაიონში, სადაც 300 მეტი მუშაა, 1-ლ მუხლში ჩამოთვლილი დაწესებულებანი არ არსებობენ, ამ რაიონში მოეწყობა საექიმო საამბულატორო პუნქტი ქსენონით, რომელიც განახორციელებს პირველი დახმარების ფუნქციებს უბედურ შემთხვევაში და ვისიმე უეცრად ავად გახდომის დროს. საექიმო საამბულატორო პუნქტი მომსახურეობას გაუწევს აგრეთვე გარემო მოსახლეობას საამბულატორო დახმარებით.

3. უკეთუ ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოს რაიონში 150 მეტი მუშაა (300-დე), ამ რაიონში მოეწყობა საფელდშერო პუნქტი პირველი სამკურნალო დახმარებისათვის.

4. ხოლო, უკეთუ ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოს რაიონში 150 ნაკლები მუშა, დამქირავებელს უნდა ჰქონდეს ხელის აფთიაქი ან სასანიტარო პარკები პირველი დახმარების გასაწევად უბედურ შემთხვევაში ან ვისიმე უეცრად ავად გახდომის დროს. ხელის აფთიაქში და სასანიტარო პარკში უნდა იყოს განსაზღვრული წამლები და შესახვევი მასალა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული განსაკუთრებული სიის მიხედვით. ხელის აფთიაქი ან სასანიტარო პარკი უნდა ებაროს საწარმოში მომუშავე ერთ-ერთ პირთაგანს; ამასთანავე ამ პირს ინსტრუქტიობა უნდა გაეწიოს საწარმოს ახლო მდებარე სამკურნალო პუნქტში—წამლების მოხმარებისა და პირველი დახმარების აღმოჩენის ტეხნიკის სფეროში.

5. ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოს ადმინისტრაცია უნდა იძლეოდეს სატრანსპორტო საშუალებას უბედური შემთხვევისაგან დაზარალებული ან უეცრად ავად გამხდარი პირის, რომელთაც სტაციონარული წამლობა სჭირდებათ, დაუყოვნებლივ უახლოეს სამკურნალო ადგილამდე მისაყვანად.

6. ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოს ადგილზე მუშებისათვის გასაწევ სამკურნალო დახმარებას მოაწყობენ ჯანმრთელობის ორგანოები, ხოლო ყველა საამისო ხარჯი გაიღება სახელმწიფო, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარიდან, სამკურნალო დახმარების ფონდიდან (იმ კატეგორიების მიმართ, რომელნიც დაზღვეულ უნდა იქნენ სრულად ან ნაწილობრივ, 1-ლ ჯგუფში), და სამეურნეო ორგანოების სახსარიდან, ჯანმრთელობის ორგანოების მათთან განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე.

7. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რეპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს გამოსცენ ამა დადგენილების საფუძველზე დაწვრილებითი ინსტრუქციები ტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების საქმეზე მომუშავე მუშების სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 30. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 85 №-ში 1928 წ. აპრილის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 26 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1927 წ. დეკემბრის 13.

**99.** **გლეხების მიერ წარმოებულ მათი მეურნეობის ან შინამრეწველობის პროდუქტების ვაჭრობაში მეტრულ საზომ-საწონთა შემოღების უკიდურესი ვადის შესახებ.**

შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წ. ოქტომბრის 21-ს დადგენილების (ოქმი № 351, მუხ. 15, დანართი) თანახმად—უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია, თავისი 24 №-რის სავალდებულო დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად და დასამატებლად, ადგენს:

§ 1. გლეხების მიერ წარმოებულ მათი მეურნეობის ან შინამრეწველობის პროდუქტების ვაჭრობაში მეტრულ საზომ-საწონთა შემოღების უკიდურეს ვადად დაინიშნოს 1928 წლის ივლისის 1-ლი.

**შენიშვნა.** დადგენილ იქნეს, როგორც წესი, რომ წინანდელი სისტემის სავაჭრო საზომ-საწონთა მეტრული სისტემის საზომ-საწონებით შეცვლა სავალდებულოა გლეხებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი თავიანთ ვაჭრობაში ხმარობენ რაიმე საზომ-საწონს. ეს იმას ნიშნავს, რომ, უკეთუ გლეხი თავის ვაჭრობაში ხმარობს არშინს, გირვანქიან და ფუთიან გირებს, შკალიან სასწორს, რომელიც წონას გირვანქობით და ფუთობით იძლევა, ჭურჭელს (კვარტებს), მან 1928 წლის ივლისის 1-თვის ეს საზომ-საწონ-საწყავები სათანადოდ უნდა შესცვალოს: მეტრითა, კილოგრამითა, გირებითა, ლიტრ-ჭურჭელით და ფხვიერ სხეულთა 10 და 20 ლიტრიანი საწყავით, ხოლო შკალა ყველა სასწორზე ისე უნდა იქნეს გადაკეთებული, რომ წონას იგი იძლეოდეს კილოგრამებად, ცენტნერებად და მათ წილადებად.

ხოლო, უკეთუ გლეხი ჰყიდის ან სცვლის თავისი მეურნეობისა თუ შინამრეწველობის პროდუქტებს ტომრით, ხოკერით, კალათით, ქოთნით, ცალობით, უთვლელად-თვალით, ან სხვა შინაური საშუალებით (მაგალითად ტიკით) და ამისათვის იგი არ მიმართავს სპეციალურ საზომს, საწონს და მოცულობის საწყავს,—მისი (გლეხის) იძულება—იქონიოს სპეციალურად ამისათვის საზომ-საწონი და საწყავი—აკრძალულია.

§ 2. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკომომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულთ—ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის წარმომადგენელთა სახით.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიის თავმჯდომარე **ნაჯაფოვი.**

მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1 85 №-ში 1928 წ. აპრილის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება № 28 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**100.** სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის გამოყენების პირობების თაობაზე" გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსგან 1925 წლის ივლისის 30-ს თარიღით გამოცემული ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების პირობების შესახებ" 1925 წლის აპრილის 18-ს თარიღით გამოცემული დროებითი წესების შეფარდებისათვის ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. ივლისის 30-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-8 №-რი, მუხ. 475) ინსტრუქციის 1, 2, 6, 11, 15, 18, 19, 20 და 43 მუხლებში და 1-ლი მუხლის შენიშვნაში შეტანილ იქნეს ცვლილებები, მე-9 და 36 მუხლებს დაემატოს შენიშვნები და ყველა ეს მუხლები და შენიშვნები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1-ლი.** მოქმედება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დროებითი წესებისა—საგლეხო მეურნეობაში დამხმარე დაქირავებული შრომის შეფარდების პირობების შესახებ—გავრცელდება ყველა იმ შრომითი საგლეხო მეურნეობაზე, სახელმწიფოსაგან მიცემულ შრომითი სარგებლობის მიწაზე იქნება იგი, თუ იჯარით აღებულ მიწაზე, რომელ მეურნეობაშიაც სავალდებულოა პირადი შრომა ოჯახის ყველა შრომაუნარიანი წევრისათვის, ვინც-კი ამ მეურნეობაში სცხოვრობს, და რომელშიაც ვადიანი, მუდმივი, დროებითი და შინაური მუშა-მამკაცებისა და მუშა-დედაკაცების დაქირავებულ შრომას აქვს მხოლოდ დამხმარე ხასიათი.

**შენიშვნა.** 1-ლ მუხლში აღნიშნული მოთხოვნა, რომ პირადი შრომა სავალდებულოა და რომ მუშა-ძალას ჰქონდეს დამხმარე ხასიათი, არ გავრცელდება ისეთ შრომითი საგლეხო მეურნეობაზე, რომელშიაც, განსაკუთრებული პირობების გამო (სამხედრო სამსახურში გაწვევა და სხვ.), ოჯახს იმ ადგილას არა ჰყავს შრომაუნარიანი მომუშავე.

**მუხლი მე-2.** სამრეწველო ტიპის საგლეხო მეურნეობაზე გავრცელდება ის კანონდებულება შრომის პირობების შესახებ, რაც საბჭოთა მეურნეობებს შეეფარდებათ; ამასთავავე, საგლეხო მეურნეობის სამრეწველო ხასიათის გამოსარკვევად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული: მეურნეობის ის შემოსავალი, რაც ანგარიშში მიიღება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისათვის, დაქირავებული შრომის გამოყენების ოდენობა, კომლის წევრთა მიერ სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა ქონა, სასარეწაო გადასახადით იბეგრება და აგრეთვე სასარეწაო გადასახადით დასაბეგრი საშუამავლო მოსაქმეობა. ყოველ შემო-

ხევეაში, სამრეწველო ტიპის მეურნეობათ საგლეხო მეურნეობა მიეკუთვნება, უკეთუ არსებობს შემდეგი პირობები: ა) უკეთუ მეურნეობაში ერთსადაიმავე დროს გამოიყენება დაქირავებული შრომა არა ნაკლებ, ვიდრე 3 ტაბარუკისა (მამაკაცისა თუ ქალის) მთელი სასოფლო-სამეურნეო სეზონის განმავლობაში (მინდვრის მუშაობის დაწყებიდან დამთავრებამდე უწყებულ რაიონში); ბ) უკეთუ კომლის წევრნი მოვალენი არიან აიღონ პატენტი არა ნაკლებ, ვიდრე მე-2 კატეგორიის სამრეწველო საწარმოსათვის, ან სავაჭრო საწარმოსათვის, ან და საშუამავლო მოსაქმეობისათვის, კატეგორიის მიუხედავად; ამრიგად, მოქმედება „დროებითი წესებისა საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის პირობების შეფარდების შესახებ, ასეთ მეურნეობებზე არ გავრცელდება.

**შენიშვნა.** საგლეხო მეურნეობათა წლიური შემოსავლის უკიდურეს ნორმებს ან საგლეხო მეურნეობათა უკიდურეს ოდენობას, რაზედაც დამყარებულ უნდა იქნეს ამ მეურნეობებზე „საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის შეფარდების პირობების დროებითი წესების“-ს მოქმედების გაუვრცელებლობა, განსაზღვრავენ აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, ადგილობრივი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების მიხედვით.

**მუხლი მე-6.** ტაბარუკის (მამაკაცისა თუ ქალის) დაქირავების პირობები განისაზღვრება ნებაყოფლობითი წერილობითი შეთანხმებით დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის; ამასთანავე წერილობითი შეთანხმების (შრომის ხელშეკრულების) დადება სავალდებულოა.

წერილობითი შეთანხმება შეიძლება დასდოს თვით ტაბარუკმა დამქირავებელთან, ან ტაბარუკის სახელით შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს და ხელმოწერილ იქნეს პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლის მიერ.

**შენიშვნა.** ტაბარუკი (მამაკაცისა თუ ქალის) დაქირავებისათვის ისეთ სამუშაოზე, რაც ერთდროულად ორ კვირაზე მეტ ხანს არ გაგრძელდება, ან უკეთუ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ვადით დაქირავება საერთოდ ერთ თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელდება,—წერილობითი შეთანხმების დადება სავალდებულო არ არის.

**მუხლი მე-9.**

**შენიშვნა.** წერილობითი შეთანხმებას სასოფლო საბჭომ უნდა გაუკეთოს აგრეთვე რეგისტრაცია იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ეს შეთანხმება წარდგენილია დაბალი საფეხურის პროფესიონალურ კავშირთა ორგანიზაციის მიერ.

**მუხლი მე-11.** წერილობითი შეთანხმება (შრომის ხელშეკრულება) შედგენილი და ხელმოწერილ უნდა იქნეს 3-ს ცალად; ამასთანავე, ხელშეკრულების შედგენის ხარჯის გაღება დამქირავებლის მოვალეობაა, ხოლო დაქირავებული ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი) არავითარ საამისო ხარჯს არ ეწევა; ხელშეკრულების სასოფლო საბჭოში რეგისტრაციის შემდეგ, დამქირავებელსა და დაქირავებულს (ტაბარუკ მამაკაცსა თუ ქალს) გადაეცემა ხელთ რეგისტრაციაქმნილი ხელშეკრულების თითო ცალი, ხოლო მესამე ცალი დაიტოვება სასოფლო საბჭოს კანცელარიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** უკეთუ წერილობითი შეთანხმებას (შრომის ხელშეკრულებას) დაქირავებულის სახელით დასდებს პროფესიონალური ორგანიზაცია, ხელშეკრულების 4 ცალად შედგენა დაეკისრება ამ უკანასკნელ ორგანიზაციას და რეგისტრაციაქმნილი შრომის ხელშეკრულების მე-3 ცალი გადაეცემა პროფესიონალურ ორგანიზაციას.

**მუხლი მე-15.** დაქირავებულის (ტაბარუკი მამაკაცისა თუ ქალის) სამუშაო დღის ხანგრძლიობა გათვალისწინებული უნდა იყოს წერილობით შეთანხმებაში (შრომის ხელშეკრულებაში), როგორც მხარეთა შეპირების შედეგი; ამასთანავე, გადიდებული სამუშაო დღე, ე. ი. 8 საათზე დიდი სამუშაო დღე, ხოლო არა უმეტეს 10 საათისა დღედაღამეში, შეიძლება მხოლოდ ცალკე სასოფლო-სამეურნეო პერიოდში (მუშაობის ხასიათისა და დაძაბულობის მიხედვით).

**შენიშვნა.** სამუშაო დღის ხანგრძლიობა წელიწადის ამა თუ იმ ცალკე დროისათვის აუცილებლად შეტანილი უნდა იყოს წერილობით შეთანხმებაში თვითეული პერიოდისათვის ცალკე.

**მუხლი მე-18.** ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი) განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან შემდეგ რევოლიუციონურ დღესასწაულებში: ა) იანვრის 1-ლს—ახალ წელს; ბ) იანვრის 22-ს—1905 წ. 9 იანვრის დღეს; გ) მარტის 12-ს—თვითმპყრობელობის დამხობის დღეს; დ) მარტის 18-ს—პარიზის კომუნის დღეს; ე) მაისის 1-ლს—ინტერნაციონალის დღეს; ვ) სექტემბრის 20-ს—26 ბაქოელი კომუნარის დახვრეტის დღეს; ზ) ნოემბრის 7-სა და 8-ს—პროლეტარული რევოლიუციის დღეს. ზემოაღნიშნული რევოლიუციონური დღესასწაულების გარდა, ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი) განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან რესპუბლიკის გასაბჭოების დღეს: აზერბაიჯანში—აპრილის 28-ს, სომხეთში—ნოემბრის 29-ს, საქართველოში—თებერვლის 25-ს.

**მუხლი მე-19.** ზემოჩამოთვლილი 9 რევოლიუციონური დღესასწაულის გარეშე, ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი) განთავისუფლებულ უნდა იქნეს მუშაობისაგან წლის განმავლობაში კიდევ 5 განსაკუთრებულ დასვენების დღეს (ადგილობრივი სახალხო დღესასწაული), რასაც დააწესებს და გამოაქვეყნებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

**მუხლი მე20.** უკეთუ გახურებული მუშაობის დროს საჭირო იქნება დამქირავებლისათვისაც და ტაბარუკისათვისაც (მამაკაცისა თუ ქალისთვის) მუშაობა რომელსამე დასვენების დღეს (ყოველკვირეულ თუ განსაკუთრებულ დასვენების დღეს, რაც მე-19 მუხლშია აღნიშნული), ამ დღის გამოუყენებლობა უნდა აენაზღაუროს ტაბარუკს (მამაკაცს თუ ქალს) ან სხვა დასვენების დღის მიცემით, ან ფულადი სასყიდლით—დაქირავებულის დამქირავებელთან შეთანხმებისამებრ; რევოლიუციონური დღესასწაულის დღეებში, რაც მე-18 მუხლშია აღნიშნული, ყოველგვარი მუშაობა აიკრძალება და რევოლიუციონური დღესასწაულის სხვა დღით შეცვლა არ შეიძლება.

**მუხლი 36.**

**შენიშვნა 2.** უკეთუ ის ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი), რომელსაც უმსახურნია არა ნაკლებ ერთი თვისა, დათხოვნილ იქნება ან თითონ წავა, მას შეენარჩუნება უფლება ორი კვირის განმავლობაში ისარგებლოს დამქირავებლისას საცხოვრებელი ბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა 3.** ტაბარუკის (მამაკაცისა თუ ქალის) პროფესიონალური კავშირის წევრობა და საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობა არ შეიძლება მისი დათხოვნის მიზეზად გახდეს; ამასთანავე ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი) საზოგადოებრივ მოვალეობას შეასრულებს იმ სამუშაო დროის გარეშე, რაც შეპირებულია შეთანხმებით (შრომის ხელშეკრულებით), საბჭოთა არჩევნებში, საერთო კრებებში და აგრეთვე საბჭოთა და პროფესიონალურ კავშირთა ყრილობებში მონაწილეობის გამოკლებით.

**შენიშვნა 4.** უკეთუ დამქირავებლისა ან მისი ოჯახის წევრების უხეში მოპყრობის გამო, აგრეთვე დამქირავებლისა ან მისი ოჯახის წევრების გადამდები ავადმყოფობის გამო, ტაბარუკი (მამაკაცი თუ ქალი) წავა, მას გამოსასვლელი დახმარება მიეცემა.

**მუხლი 43.** სამრეწველო ტიპის საგლეხო მეურნეობაში (მუხ. 2) დაქირავებით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევა სავალდებულოა და მოწესრიგდება სპეციალური კანონით.

იმ პირთა სოციალური დაზღვევა, რომლებზედაც ვრცელდება მოქმედება „დროებითი წესებისა—საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის შეფარდების პირობების შესახებ“, სავალდებულო არ არის, ხოლო შეიძლება ნებაყოფლობითი წესით, დამქირავებლისა და სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანოს შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 31. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 86 №-ში 1928 წ. აპრილის 13-ს.

---

## დადგენილება № 30 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**101. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ ისეთ საგლეხო მეურნეობათა ოდენობის განსაზღვრის შესახებ, რომლებზედაც არ გავრცელდება „დროებითი წესები საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის შეფარდების პირობების შესახებ“.**

„საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის გამოყენების პირობების დროებითი წესების“ შეფარდებისათვის გამოცემული ინსტრუქციის შეცვლისა და დამატების შესახებ 1928 წ. მარტის 31-ს თარიღითა და 28 №-რით გამოქვეყნებული დადგენილებით დამტკიცებული მე-2 მუხლის შენიშვნის შესასრულებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ, არა უგვიანეს 1928 წლის მაისის 1-სა, დადგენილებანი, რითაც განსაზღვრული იქნება იმ საგლეხო მეურნეობათა უკიდურესი ოდენობა, რომლებზედაც მოქმედება „დროებითი წესებისა საგლეხო მეურნეობაში დაქირავებული დამხმარე შრომის შეფარდების პირობების შესახებ“ არ გავრცელდება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭ. საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 31. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 86 №-ში 1928 წ. აპრილის 13-ს.

---

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

### 102. სადღესასწაულო დღეებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ და 1927 წ. დეკემბრის 5-ს თარიღის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „სადღესასწაულო დღეებისა და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ“ 1927 წ. დეკემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 23 №-რი, მუხ. 252) გასაუქმებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. შრომის კანონთა კოდექსის (ა/კსსრფს კან. კრ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 89) 111 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 111. მუშაობის წარმოება აკრძალულია:

**ა.** შემდეგ სადღესასწაულო დღეებში:

ა) იანვრის 1-ლს—ახალი წელი.

ბ) იანვრის 22-ს—1905 წლის იანვრის 9-სა და ვ. ი. ლენინის ხსოვნის დღე.

გ) მარტის 12-ს—თვითმპყრობელობის დამხობის დღე.

დ) მარტის 18-ს—პარიზის კომუნის დღე.

ე) მაისის 1-ლს—ინტერნაციონალის დღე.

ვ) ნოემბრის 7-სა და 8-ს—პროლეტარული რევოლიუციის დღე.

ზ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავი:

1) აპრილის 28-ს—აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

2) ნოემბრის 29-ს—სომხეთის ტერიტორიაზე.

3) თებერვლის 25-ს—საქართველოს ტერიტორიაზე.

**ბ.** არასამუშაო დღე—სექტემბრის 20, 26 ბაქოელი კომისრის დაღუპვის აღსანიშნავი დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლში სიტყვები: „ყოველწლიურად დასვენების რვა განსაკუთრებული დღე“ შეიცვალოს სიტყვებად: „ყოველწლიურად დასვენების ხუთი განსაკუთრებული დღე“.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. მარტის 26. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 87 №-ში 1928 წ. აპრილის 14-ს.

---

## დადგენილება № 29 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**103. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამშენებლო სამუშაოთა პროექტების სათანადო ჩამოყალიბებამდე სამშენებლო მუშაობის დაწყების აკრძალვის თაობაზე“ 1928 წ. მარტის 1-ლის თარიღით და მე-16 №-რით გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 1-ის თარიღისა და მე-16 №-რის დადგენილებას „სამშენებლო სამუშაოთა პროექტების სათანადო ჩამოყალიბებამდე სამშენებლო მუშაობის დაწყების აკრძალვის შესახებ“ დაემატოს მე-IV მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. IV. დაევალოს ყველა უწყებას, დაწესებულებას, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელიც-კი 1927 წ. მარტის 10-დე შეუდგა სამშენებლო მუშაობას პროექტების დაუმტკიცებლად, წარადგინოს ეს პროექტები სამი თვის განმავლობაში, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, სათანადო ორგანოში „სამშენებლო სამუშაოთა პროექტების დამტკიცების დროებითი წესების“ თანახმად“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. მარტის 30. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტ.“-ს 87 N-ში 1928 წ. აპრილის 14-ს.

---

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1347. დაიბეჭდა 1000.